



ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

19 ოქტომბერი
ხუთშაბათი
2023 წელი
№44 (9306)
ფასი 40 თეთრი

საოფისო ინვენტარი და სააქტივობო აღჭურვილობა ბორჯომის ჯანდაცვის ცენტრს

ბორჯომის მერიას არასამთავრობო ორგანიზაცია World Vision საქართველოს წარმომადგენლებმა საოფისო ინვენტარი და სამედიცინო აღჭურვილობა გადასცეს. პროექტის - „არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა - COVID-19-ით დაზარალებული ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერება საქართველოში“ - ფარგლებში განახლებული ტექნიკით აღიჭურვა „აიამ ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“. პროექტი World Vision საქართველოსა და დაავადებათა კონტროლისა და



საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

„კარდისფერ ოქტომბერს“ ბორჯომიც შეუერთდა

ქალთა ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ კამპანიას „კარდისფერ ოქტომბერს“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო შეუერთდა. კამპანიის ფარგლებში, ახალციხეში ხელოვნური ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, მართონი გაიმართა, აქცია ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ონკოპაციენტთა მიმართ სოლოდარობის გამოხატვას ითვალისწინებდა. ღონისძიების ფარგლებში, ბორჯომის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა „ფერხისი ქორეოგრაფიული ნომრები შეასრულა. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და რეგიონის ექსივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

SOS „ზეზრა“ გადასასვლელი ხიდზე?!

სერიოზული გაჭიანურებული სამუშაოების შემდეგ, როგორც იქნა ძირითადად დამთავრდა ახალდაბიდან ბორჯომის მესხეთის ქუჩის დასაწყისამდე ერთობ საშური და მეტად საპასუხისმგებლო საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ანუ დაიგო ასფალტი, მაგრამ რამდენად ხარისხიანია, ვერ გეტყვით), რომელსაც მშენებლები თითქმის ორ წელზე მეტხანს მოუდნენ, თუმცა საბოლოოდ სამუშაოები დამთავრებული მაინც არაა. კვლავ გრძელდება ახალდაბასთან არსებული პატარა ლელის გადაკვეთაზე ხიდის მშენებლობა, დაუმთავრებელია მოსაცდელის კეთილმოწყობის, ნიაღვარსავალი არხების სამუშაოები, ქალაქში ბოლომდე არ დახაზულა ცენტრალური გზის ცვაკული მონაკვეთები, მაგრამ გასაოცარი ისაა, რომ სადაც დაიხაზა, ის მონაკვეთებიც სერიოზული ხარვეზებითაა შესრულებული. ბევრგან შიდა საქალაქო ავტობუსების გაჩერებაზე მგზავრებს ხან წინიდან უხდებოთ გზის გადაკვეთა, ხან უკნიდან, საგზაო წესებით კი მგზავრი მოვალეა ავტობუსის უკანა მხრიდან გადავიდეს მეორე მხარეს. ყველაზე დიდი კურორი და საგზაო ნიშნების უცოდინრობის კლასიკური



ზული ზებრა გადასასვლელი (იხილეთ ფოტო), როგორც გამოცდილმა და პროფესიონალმა მძღოლებმა და საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა გვითხრეს, ხიდზე ფეხით მოსიარულეთათვის ზებრა გადასასვლელის დასაზღვა ყველაზე დიდი შეცდომაა, ან როგორ უნდა იხტუნონ ხიდზე ადამიანებმა, როცა მათთვის ორივე მხრიდან გზა-ბილიკიც არაა დატოვებული. (სხვათა შორის არც თბილისში და არც სხვა ქალაქებში მსგავსი კურორი არ შეგვიმჩნევია, ხიდზე ზებრაგადასასვლელი არსად გვინახავს).

მეგზევეებმა ვერც სანიაღვრე ჭებების განმუხდის საქმე მიიყვანეს ბოლომდე, თავსებმა წვიმების დროს ჭები წყალს ვერ ატარებს და საავტომობილო გზებზე ხელოვნური „ტბები“ იქმნება. ბევრგან ნაჩქარევად გაკეთებული სამუშაოები თავიდანაა გასაკეთებელი. იმედს ვიტოვებთ, მეგზევეები წლის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში დაამთავრებენ სამუშაოებს. საშურივალეს საავტომობილო ტრასა ხომ საერთაშორისო მნიშვნელობისაა და ამ გზაზე ათასობით მძიმეწონიანი ტრაილერები და მსუბუქი მანქანები გადაადგილდებიან. **პალაიან ლოშია.**



ნიმუში დაგვიტოვებს ქალაქის ცენტრში „სილამაზის ხიდის“ დასაწყისში — ფეხით მოსიარულეთათვის დასა-

ლოცვრატურული კონკურსი — 2023

2023 წლის „შოთაშვილის“ ლიტერატურულ კონკურსში, რომელსაც აწარმოებს ბორჯომის „ლიტერატურული მხარდაჭერის“ ორგანიზაცია, მონაწილეობა და საკონკურსო ნაშრომების შეტანა უნდა დაიწყოს 2023 წლის 15 სექტემბერს, რომელსაც წინასწარ შეტანილი ნაშრომები განიხილავდა. ლიტერატურული კონკურსის წინადადებათა და პირობების შესახებ ინფორმაციისთვის დასაწყისად მიმართეთ:

- I კატეგორია - ბავშვთა ლიტერატურა;
- II კატეგორია - მწიგნობრები;
- III კატეგორია - თინათინ ვალდაიშვილი;
- IV კატეგორია - ციური ასანინა-მისხიშვილი.



ტრადიციული ლიტერატურული კონკურსის ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ და კონკურსის დაფინანსებაში დახმარებას უწევდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია (როსტომ მაგრაქველიძე), სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი (მაკა ბერიძე), კერძო პირი ელდარ ალიევი, თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტი (დიმიტრი კორძაია), ბიზნესმენი ვებარ ასპინძე.

თა წულუკიანი სალომეა სკოლაში ვიზიტს განაგრძობს

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თა წულუკიანი ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დეპუტის, ბორჯომისა და ახალციხის სალომეა სკოლებს ესტუმრა. მინისტრი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორ გიორგი დონაძესა და დირექტორის მოადგილე გიორგი გაბუნიასთან ერთად გაეცნო სკოლების საქმიანობასა და საჭიროებებს.

ბორჯომის წარმომადგენლობა დაფუძნდა 2015 წელს. სალომეა სკოლაში საქმიანობენ რეგენტი ტატანა ივანიძე და ლოტბარი ლელა მუსხრამე. ამჟამად სკოლაში რეგისტრირებულია 31 მოსწავლე. ახალციხის წარმომადგენლობა დაფუძნდა 2019 წელს. იქ ახალგაზრდებთან მუშაობს ორი ადგილობრივი სპეციალისტი - რეგენტი ქეთევან კობახიძე და ლოტბარი ზაზა თამარაშვილი. დღეისთვის ახალციხის სალომეა სკოლაში 38 მოსწავლეა

თა წულუკიანი შესვდა ლოტბარებს და მოსწავლეთა შემოქმედებას გაეცნო. მინისტრმა მათ მადლობა გადაუხადა განუვლი საქმიანობისა და რეგიონში ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისთვის. აღნიშნა, რომ კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სწორედ ქართული ფოლკლორის მხარდაჭერა და განვითარებაა. ამ მიზნით დაგეგმილია წლის ბოლომდე ყველა სალომეა სკოლის მონახულება და მათი საჭიროებების გაგნობა. მინისტრი უკვე ესტუმრა მესტიის, ლენტეხის, ამბროლაურის, ონის, ზესტაფონის, სამტრედიის, ხონის სალომეა სკოლებს. ინფორმაციისთვის: დეპუტის სალომეა სკოლა დაფუძნდა 2015 წელს. დღევანდელი მდგომარეობით იქ 27 მოსწავლეა რეგისტრირებული, რომელთაც ქართულ ფოლკლორულ ხელოვნებას ლოტბარი ზვიად მიჩილაშვილი აცნობს.



რეგისტრირებული. სალომეა სკოლების გახსნის იდეა დიდ ქართველ მოღვაწეს, ლოტბარსა და კომპოზიტორს, ანზორ ერქომაიშვილს ეკუთვნის. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელობით ამჟამად ქვეყანაში ფუნქციონირებს 30 სალომეა სკოლა, რომლებშიც ახალგაზრდები უსასყიდლოდ სწავლობენ ქართულ გალობას, საკრავებზე დაკრასა და ხალხურ სიმღერას.

შეკრევით დისკუსიული გაპოლიზების სახელი

ნაყოველთაოდ სწორად გაგვიანდა და აღიარებულ გაპოლიზაციას **მინილ მარაგ-ნიშნის** საპარტიო და განსაკუთრებით ქართველ ნაწილს წინააღმდეგობა შეუპოვდა. მისი ღვაწლის ჩამოთხვევა შორს ნაგვიანდა, რადგან ისინი გვიან და ყველაზე უფრო სწორად, ჩვენ, ქვემოთ ხელის მოქმედების ვითარებაში მინილ მარაგნიშნის ხელმძღვანელობას განიხილეს და დადებითად გადაწყვიტეს ნაწილს მინილ მარაგნიშნის ხელმძღვანელობის აპოლიზაციის და პრივილიჯიულ მოწყობის სახელი წყარო კითხვით და გააქვეყნეს ნაწილს **„მინილ მარაგნიშნის სახელის წყარო“**.

- დრამა პატივისცემით: თამარკო მანუჩიანი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- გაიოზ კანდელიანი - თბილისის საპატო მოქალაქე;
- ქეთინო მინიაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- ანზორ მისხიშვილი - ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, სერტიფიცირებული ექსპერტი უძრავი ქონების (მინის) საკითხებში;
- ნიკო და დავო ქავსიაშვილები;
- ლევან დათიშვილი;
- ნიკო სოფიაშვილი;
- ნიკო გვანდიაშვილი;
- ქავსიაშვილი ნარკოტიკული;
- დავო ქავსიაშვილი;
- თამაზ ჩიქავიანი;
- სოფო ჯავახიშვილი;
- ნიკო მარაგნიშვილი;
- თინათინ მარაგნიშვილი;
- დავო მარაგნიშვილი;
- და სხვები.

სადღისო თემაზე თუ ყველა ემიგრანტი ნავა, ვინ მიხლავს ჩვენს ბავშვებს ქვეყანას?!

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2022 წელს საქართველოში 100 ათასზე მეტი ადამიანი დატოვა ქვეყანა. საქართველოში შემოსული მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვნად შემცირების მიზეზად ითვლება ემიგრანტების მასობრივი მიგრაცია. საქართველოში შემოსული მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვნად შემცირების მიზეზად ითვლება ემიგრანტების მასობრივი მიგრაცია. საქართველოში შემოსული მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვნად შემცირების მიზეზად ითვლება ემიგრანტების მასობრივი მიგრაცია.

იყო გაერთიანებული. ეს ჯგუფი ყველაზე გავლენიანი დანაშაულებრივი ჯგუფი ყოფილა, რომელიც თავისუფლად დანაშაულებრივად სევილიასა და ლუგანოში. ათეულობით ბინა ქონდათ გაძარცვული, მათ დასაკავებლად თურმე ესპანეთის პოლიცია ფეხზე იდგა და მთელი ზაფხულის განმავლობაში სპეცოპერაციებს ატარებდა.

ვტოვებთ სამშობლოს, ჩვენს ქვეყანას თანდათანობით ფეხზე დგება და თუ თითოეული ჩვენთაგანი ხელს არ შევუწყობთ ქვეყნის განვითარებას, მუდამ სხვისი ხელის შემწყურებელი ვიქნებით.

საქართველოში ან ამერიკაში? დღეს საქართველოში არსებულ აშშ-ის საელჩოში რიგები, ელოდებიან, როდის დაინწყება ვიზების გაცემა. ბევრი არაა, გალურად მიდის და ვინ სად იკარგება, არავინ იცის, ილბლიანები საკუთარი ქვეყნიდან თავშესაფარის თხოვნით, ან საზღვრის უკანონო კვეთით ხვდებიან ევროპა-ამერიკაში.

საფრანგეთის ქალაქ ბორდოში თურმე უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლილია კარვების ქალაქი, სადაც მოხინაღრეთა 80 პროცენტი თურმე ქართველები არიან, მძიმე პირობებში უხდებთ იქ ცხოვრებას, არ აქვთ სასმელი წყალი, საპირფარეო, სოციალური პრობლები, არ მუშაობენ და ცდილობენ ლტოლვილების სტატუსით ჩაბარდნენ იქაურ ხელისუფლებას და საზღაურად 400-500 ევრო მიიღონ, არადა მუშახელი საქართველოშიც სანთელი საქმენილია. აქ სამუშაოზე ჯანლონით სავსე ადამიანები ენატრებათ. ვიცი, იტყვიან, ცოტას უხდით, თუ პროფესია გაქვს და მუშაობა შეგიძლია, აქაც სავსეა მალაღობა ანაზღაურება.



თუ რა ხდება ჩვენს გაჭირვებულ ქვეყანაში, ადრეც ვწერდი და კვლავ მინდა გავიმეორო, სანთელი საქმენი გავგინდა არა მარტო მუშური პროფესიების მქონე ადამიანები, არამედ კვალიფიციური ინჟინერ-მშენებლები, ექიმები, იურისტები, არქიტექტორები, ჟურნალისტები, (ბორჯომის რამდენიმე სკოლაში არ ყავთ ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ქართულის, უცხო ენების) და ა.შ. მასწავლებლები.

საფრანგეთის ქალაქ ლიონის აეროპორტში პოლიცია საქართველოს ყველა მოქალაქეს საგულდაგულოდ ამოწმებს, რადგან ადგილობრივ ციხეში 420 ქართველი ზის და ყველა ქართველსაპორტის ადამიანი მათში კრიმინალის ასოციაციას იწვევს.

მაღალი ხელფასები ყველას რომ არ აქვს, ვიცით. ოპერის ცნობილი მომღერლები, მსახიობები, მუსიკოსები და ბევრი სხვა დასაფასებელი და პატივსაცემი პროფესიის ადამიანების ხელფასი 500-დან 1200 ლარამდეა. ჩვენს რედაქციაში დღეს ხუთი ადამიანი მუშაობს, ხელფასს სამ თვეში ერთხელ ვიღებთ, საშუალოდ 200-250 ლარს. არც ეს თანხა ცხოვრებისათვის საკმარისი, მაგრამ ადამიანები მაინც აკეთებენ თავის საქმეს, ქვეყნის ემსახურებიან.

მთავარი მაინც სამშობლოს სიყვარულია, პატრიოტული გრძობა, მშობლიური განცდა და დაფასება. მწუხარების გარეშე ვერ შეხვდათ ტელევიზორს, თუ როგორ გამოიხატოს ისრაელიდან იქ წლები წინ წასული ქართველები. მედიაში არაერთი წერილი ქვეყნდება იმის თაობაზე, თუ როგორ არაადამიანურად ექცევიან უცხოეთში სამუშაოდ წასულს, განსაკუთრებით მათ, ვინც იქაური ენა არ იცის, ღირს კი ღირსება შელახულმა იცხოვროს იქ, სადაც არავინ ეპატივება.

სომხეთში, კერძოდ კვარაჯახში ახალი ჩასული იყო ნეპოლში, როცა საკუთარ ეზოში მიპარეს მანქანა. მთელი საქართველო იმაზე ლაპარაკობდა, ეს საქმე ქართველების გაკეთებული იქნება, იმაზე ლოცულობდნენ, იქნებ ქართველების გაკეთებული არ იყოს ეს სამარცხვინო დანაშაული, კიდევ კარგი, იტალიურმა პოლიციამ ოპერატიულად იმუშავა, დამნაშავე დაიჭირეს და ქართველი არ აღმოჩნდა.

ისტორიულად ქართველებს ყოველთვის უჭირდათ სამშობლოს დიდი სიყვარული, თუმცა დაღუპული ცხოვრება აქვთ არ ქონიათ. ახლა ბევრს სხვა კეთილ ტრადიციებთან ერთად სამშობლოდან სხვა ქვეყნებში გადასვენა შემოსავლის წყაროდ იქცა.

ამ რამდენიმე კვირის წინ, ესპანეთის მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სევილიაში ქართველების შეიდი დაჯგუფება დააკავს, რომელშიც საქართველოს 22 მოქალაქე, მათ შორის ორი კანონიერი ქურდი

ყველა რომ გავიკრიფოთ ქვეყნიდან, ვის

საბავშვო ბაბა-ბაღაბა შესაქმნა შავთ-ქვირისა იუზაონ

თბილისის საჯარო ბაბა-ბაღაბა შავთ-ქვირის საკრისის ამოქმედება და ასევე, ქვირის ბაღაბა სააღმზრდელო პროექტის 18:00 საათის შემდეგ განხორციელება განხორციელდა.

ეს საკითხი ნამდვილად იდგა დღის წესრიგში, თუმცა ვფიქრობ, რომ ჯერ ადრეა ამ საკითხზე საუბარი. გარკვეული მონახაზები არსებობს, თუმცა ამ საკითხს მომავალ წელს დავეუბრუნდებით. წელს ამ საკითხზე საუბარი ნაადრევია მგონია, იმიტომ, რომ ბევრად სხვა უფრო პრიორიტეტული საკ-

ნაზებს ხელს და არც ბავშვის ინტერესები უნდა დაზარალდეს. კონკრეტული რეკომენდაციები არსებობს, არ შეიძლება ბავშვი სრულად იყოს საბავშვო ბაღში. რეკომენდაცია არსებობს, რომ ბავშვი კონკრეტულ დროს ოჯახში უნდა ატარებდეს. ოქროს შუალედი ისე უნდა მოიძებნოს, რომ ბავშვის საუკეთეს-

მშობლების ისეთი კატეგორია, რომლებსაც ნამდვილად ისეთ დონეზე უჭირთ, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათთვის თუნდაც შავთ-კვირის საბავშვო ბაღში შვილის ყოლა, თუმცა, სწორედ აქ გვაქვს დიდი „თუმიცა“. მასსოვს წლების წინ, მაშინ როდესაც ჩემი შვილები დადიოდნენ ბაღში და აღნიშნული სფეროსთან მუდმივი კომუნიკაცია მქონდა მშობლებთან თუ პედაგოგებთან, გავისხენებ ერთ მომენტს, როდესაც ახლობელი ყვებოდა, ერთ-ერთ საბავშვო ბაღში აღსაზრდელს ტემპერატურამ აუწია და ვიცით, იქ ყველანაირი სახის მედიკამენტის მიცემა აკრძალულია ადმინისტრაციის მხრიდან და მშობელს დაურეკეს, რომ ბავშვი გაეყვანა, მან კატეგორიულად განაცხადა, რომ ვერ მივიდოდა, რადგან არ ეცალა და სანამ ბაღის მხრიდან კატეგორიულად არ მოსთხოვეს მშობელს, რომ სასწრაფოს გამოუძახებდნენ და საავადმყოფოში გაატანდნენ ბავშვს და იქ მიეკეთებინა შემდეგ შვილისთვის, მანამდე დედამ არანაირ რეაგირება არ მოახდინა. ახლა ისმის კითხვა - კი მაგრამ, ასეთი კატეგორიის მშობლებისთვის რომლებსაც შვილის ავადმყოფობაც კი არაფრად არ ღირს, ხომ იქნება დამატებითი შევება, რომ კვირაში 7 დღე საღამოს ექვს საათამდე საბავშვო ბაღს მიანდოს შვილის აღზრდა-განათლება? ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული საკითხი სერიოზულ სახეს არ მიიღებს, თორემ ამდენი გაუცხოებულ შვილებისა და მშობლების თაობას ნამდვილად ვეღარ გაუძლებს ისედაც შერყეული განათლების სისტემა.



ითხები გვაქვს, რომლის შემდეგაც შეგიძლია ვისაუბროთ აღნიშნულ საკითხზე. თუმცა, შემიძლია გითხრა, რომ ეს ნაწილი განხილვება. რადგან იგი მშობლებმა დააყენეს, ვიცით, რომ მათთვის, დატვირთული რეჟიმის გამო, ან საკითხის მოწესრიგება მნიშვნელოვანია, ამაზე დავენიყუთ მუშაობა. არსებობს რამდენიმე ვერსია, გვინდა შევარჩიოთ ისეთი ვერსია, რომელიც მშობელს შეუ-

სო ინტერესები იყოს დაცული. ჩვენ კონკრეტულ გადაწყვეტილებას თუ მივიღებთ, ეს გადაწყვეტილება დაეფუძნება მათ შორის, სპეციალისტების რეკომენდაციებს და არ იქნება ცალსახად მხოლოდ მშობლების მოთხოვნაზე გამოხმაურება, - განაცხადა **გობი რიქოვანამ**.
დავეთანხმები სააგენტოს ხელმძღვანელს და გეტყვით იმას, რომ მართლაც არსებობს

დამატებითი შევება, რომ კვირაში 7 დღე საღამოს ექვს საათამდე საბავშვო ბაღს მიანდოს შვილის აღზრდა-განათლება? ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული საკითხი სერიოზულ სახეს არ მიიღებს, თორემ ამდენი გაუცხოებულ შვილებისა და მშობლების თაობას ნამდვილად ვეღარ გაუძლებს ისედაც შერყეული განათლების სისტემა.

დასრულდა ინფრასტრუქტურული პროექტები

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დვირის ადმინისტრაციულ ერთეულში, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დასრულდა. სოფელ დვირსა და ჩითახეში სასაქონლო წყლის სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა. სოფელ ქვაბისხეში სარწყავი არხის, ხოლო, სოფელ ქობისხეში გარე განათების სისტემა მოწყობილია.



საკონსულტაციო შეხვედრები ბორჯომის მუნიციპალიტეტის 33 სოფელში გაიმართა. სოფლის კრებებზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სმათა უმრავლესობით შეარჩიეს ის პრიორიტეტული პროექტები, რომელთა განხორციელებასაც დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა მოსმარდება.

2023 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან 436 000 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 872 000 ლარი გამოიყო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანშეწონილი პროექტების განხორციელება დასრულდა. სოფელ ქვაბისხეში სარწყავი სისტემა მოწყობილია.

მზიდა ნაო შაქიძე



კულოჯავთ!

ახალციხის საჭადრაკო რესპუბლიკურ ფესტივალზე (6,7,8 ოქტომბერი) ბორჯომელი მოსწავლე-მოჭადრაკეების მიღწევების საფუძველზე ჭადრაკში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა **უზანგი ჯანგირაშვილი** და დაჯილდოვდა ფულადი პრიზით (200 ლარი).

ვულოცავთ!
ბორჯომის სასპორტო სკოლის დირექტორს

ჩემ საყვარელ დიშვილს **ნიწო მალრაქის** ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ნაირა დეიდა.



ანსამბლი „ნინა“ და „მზეშინა“ კონკრეტ-ფესტივალზე



ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩაატარა სრულიად საქართველოს ტრადიციული კონკრეტ-ფესტივალი, სახელწოდებით „ქართული საგალობლები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა „ნინამ“ და „მზეშინამ“. ანსამბლმა „მზეშინამ“ ფესტივალზე წარადგინა გელათის სკოლის ორი საგალობელი: „საღმართისა სახმილავსა“ და „წინა საუკუნეთა“, ხოლო რაც შეეხება ანსამბლ „ნინას“ მათ წარადგინეს „ღვთისმშობელი ქალწული“ (ტროპარი) და „განათლდი განათლდი“ (შემოქმედის სკოლა).

აღსანიშნავია, რომ ფესტივალზე ორ ეტაპად მიმდინარეობდა და პირველი ეტაპი გაიმართა ონლინ რეჟიმში, რის საფუძველზეც უშუალოდ შეირჩნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული სალხური სიმღერისა და საგალობლების ანსამბლები. მათ შორის ანსამბლები „ნინა“ და „მზეშინა“. რაც შეეხება მეორე ეტაპს ის 9 ოქტომბერს საჩხერეში ჩატარდა.

როგორც ანსამბლ „ნინას“ ხელმძღვანელმა ნანა ანდლულაძემ გაზეთ „ბორჯომთან“ აღნიშნა, მათთვის მეტად სასიხარულო და საპასუხისმგებლო იყო 25-წლიანი ისტორიის მქონე კონკურსში მონაწილეობა. კიდევ მეტი გამომწვევა მიიღეს, დაჯილდოვდნენ დიპლომებით, სხვადასხვა სახის საჩუქრებით და რაიონს კვლავ დიდი გეგმებით დაუბრუნდნენ.

ანსამბლი „მზეშინა“ და „ნინა“ მადლობას უხდის ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელს ბატონ **გაიოზ დგალიშვილს** გვერდში დგომისათვის და ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალს საფუძველი 1998 წლიდან ჩაეყარა და წელს მისი დაარსების საიუბილეო 25-ე წელი გახლდათ.

მოამზადა ნაწო მელიქიძე

მრავალჯერ გვემაცხ მისით

ბორჯომის №4 საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლემ, **მარიკა აინურაქიშვილი** კინგისა და ვეერესტის ოლიმპიადებში მათემატიკასა და ქართულ ენაში წარმატებით მონაწილეობისათვის სერტიფიკატები, ოქროსა და ვერცხლის მედლები დაიმსახურა. გარდა იმისა, მარიკა უამრავ კონკურსსა თუ ოლიმპიადებში მონაწილეობს, სკოლის წარჩინებული მოსწავლეც გახლავთ. მის შესახებ სკოლის დირექტორს და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, ქალბატონ **ნიწო გელდიშვილს** ვთხოვეთ აზრის გამოთქმა:

– მარიკა აინურაქიშვილი არამარტო წარმატებით ართმევს თავს ყველა საგნობრივ დისციპლინას, არამედ საოცრად კეთილი გოგონაა, რომელიც თავისი ფაქტი სულიერებით ხიბლავს თანაკლასეულებს, კეთილმეტყველებს და მოკიდებულება აქვს თანატოლებთან და როგორც მისი ქართულის მასწავლებელს, მახარებს ის ფაქტი, რომ მარიკა ბევრს კითხულობს, წიგნთან მეგობრობს და ბევრ კითხვას სვამს ახალნაკითხული წიგნებიდან. მარიკას ლამაზი სამყარო სიყვარულითაა სავსე. ერთერთ საგაკვეთილო თემასთან დაკავშირებით ისე გულწრფელად გააუღერა, რომ ცდილობს არავისგან არაფერი ენციინოს, ყველას გაუგოს, რომ მეტად სასიამოვნო მოსასმენი იყო ეს ყოველივე ჩემთვის. როგორც ჩანს, ბებია მისთვის მაგალითია, რადგან ხშირად გაკვეთილზე ბებუის გამონათქვამებს იმონებებს.

ბედნიერებაა, როდესაც მოსწავლეს მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს და ამავდროულად კეთილშობილ სულს დაატარებს სხვათათვის გადასაცემი სიტოთი აღსავსეს. მისხარია, მისი წარმატებები და კიდევ მრავალჯერ გვემაცხ მისით.




მოამზადა ნაწო მელიქიძე

საზარ შველიძის განხილვა

და გახდა დღე 40 მგონი სწრაფად გავიდა? რაღაც უცნაური პერიოდი კია ჩვენთვის, არეული მოგონებებისა და რეალობასთან შეგუების 40 დღე და ლამე. არც ისე გრძელი იყო ეს დრო, რომ ტკივილი ცოტათი მაინც განვლავებულიყო.

ყველა ფიქრი იწყება მონატრებით, ტკივილიანი მონატრებით... დღეს გაფრთხილება შენი სული ცათა სასუფთველში... ნათელში იყოს შენი სსოვნა, უფალს ებარებოდე.

შენი დიდი ოჯახი და მუდამ შენს სხანებაში მყოფი თვალსაჩინოანი შვილიშვილები.



გრიგოლ ბალახაძის მოსაგონარი

მოახლოვდა ის საბედისწერო დღე, რაც ამქვეყნად აღარ ხარ, 6 წელია რაც წახვედი და დაგვიტოვე გულის დიდი ტკივილი. ძალიან აკლიხარ შენს ოჯახს, გვიჭირს უშენობა, გვენატრები, შენი შვილები სულ შენს ხსენებაში არიან და შენზე მოგონებებით ვცხოვრობთ, არა მარტო ოჯახი, არამედ ყველა ახლობელი და ნაცნობი სიყვარულით გისხენებენ. არავის შენს პრობლემას არ შეჩივლებდი და სულ იუმორში გადაგქონდა ყველაფერი, ეგონათ არაფერი განუხებდა, თავს ძალას ატანდი და სანამ სიკვდილის პირზე არ მიხვედი, მანამდე არ გვითხარი შენი გასაჭირი. ამიტომ იყო, რომ ყველას გაუჭირდა შენი დაღუპვის ამბავი.

იმზე ფიქრი არ მასვენებს, ადრე რომ გაგემილა, იქნებ გვეშველა შენთვის, ჩემ თავს ვიდანაშაულებ, მაგრამ ყველაფერი უფლის ნებაა ასე ინება უფალმა, ჩვენ აღარაფრის შეცვლა არ შეგვიძლია, ისლა დაგვჩა, რომ ვილოცოთ შენი სულისათვის. არ ვიცი, რამდენად სრულყოფილად გამომდის, მაგრამ, ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ყველაფერს ვაკეთებ, რაც მიცვალებულისათვის და მწესებულთა და როგორც შენ გიყვარდა, ვცდილობ ისე მოვიქცე, მხოლოდ ეს მაშვადიდებს.

21 ოქტომბერს მოვალთ შენს საფლავზე, დაგინებთ სანთლებს და უფალს შევავედრებთ შენს სულს, რათა მშვიდობით განისვენო.

შენი საყვარელი ოჯახი.




ბორჯომის მუნიციპალიტეტისა და „იკლანტ სტუდიოს“ ინიციატივა

ბორჯომისა და ბაკურიანის მოსახლეობას სტომატოლოგიური კლინიკა „იკლანტ სტუდიო“, ბორჯომის მუნიციპალიტეტისგან 70%-იანი დაფინანსებით სარგებლობას თავაზობს. მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაიტარონ კვლევა 3D კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე (KT), 100%-იანი დაფინანსებით ისარგებლონ შშმ პირებმა და მაღალი ქულები ის მქონე სოციალურად დაუცველმა ბორჯომელებმა.

ბორჯომელთა ნაწილი აგვისტო-სექტემბრის თვეებში უკვე ეწვია „იკლანტ სტუდიოს“ და ისარგებლა ბორჯომის მუნიციპალიტეტისგან შეთავაზებული დაფინანსებით.

ეს გახლავთ ციფრული კონსულტაცია, უშეცდომო დიაგნოსტიკა, 3D კომპიუტერული ტომოგრაფიის (KT), ხელოვნური ინტელექტის დახმარებით.

ერთ გადაღებაზე შესაძლებელია პაციენტს გადაუღონ, როგორც ზედა ისე ქვედა ყბა, მარჯვენა და მარცხენა სახსრები და ჰაიმორის ღრუ. აღსანიშნავია, რომ 2D და 3D კვლევები, უსაფრთხოა, როგორც ბავშვებისათვის, ისე ორსულთათვის, ასევე ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.



გახსოვდეთ, პირის ღრუს ჯანმრთელობა გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ლამაზი დიმილი.

გაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას.

ვიზიტის დასაჯავშნად დაუკავშირდით: 591 091 771, ან კონსულტაციისთვის ეწვიეთ მისამართზე: ბორჯომი, მესხეთის ქ.№4.

იზა იანვარაშვილი

ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობა და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბორჯომე და ბორჯომელებზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება **გიგი გონგლაძე** და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59 რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს. გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი. მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2 ტელ 22-29-65 იბეჭდება შშს გამოცემლობა „საბურთა“. თბილისი, თვედორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე